




ხაშურის მთაშუა



№2

3 ივლისი, სამშაბათი, 2015 წელი

არტ-გენი - სურამში

5 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტი ფოლკლორისა და თვით შემოქმედების ფესტივალს „არტ-გენს“ მასპინძლობს. სურამის ფიჭვნარი



მესხეთის, შიდა ქართლის, რაჭის, თუშეთის და თბილისის ცნობილ ანსამბლებს მიიღებს. მსგავსი მასშტაბის

ფესტივალი ხაშურის მუნიციპალიტეტში ჯერ არ გამართულა. ღონისძიებაში ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობენ უცნობილესი ჯგუფები „ფრანი“ და „ჩვენებურები“. ფესტივალზე მოეწეობა რეწვის წარმომადგენლების (თექა, მინანქარი, ჭედური ხელოვნება, ხეზე კვეთა...) ნამუშევრების ჩვენება. ფესტივალი დაიწყება 12 საათზე და გვიან საღამომდე გასტანს. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური გიწვევთ ყველას, ამ გრანდიოზულ ღონისძიებაზე დასასწრებად, აჩუქეთ თქვენს თავს ულამაზესი დღე!

ხაშურში ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალი გაიხსნება

თუ 22 ივნისი აქამდე უსიამოვნო, ომის დაწყების თარიღად იყო მიჩნეული, მას ამერიიდან პოზიტიური როლი მიენიჭება ხაშურელთათვის – 2015 წლის 22 ივნისს, 19 საათსა და 15 წუთზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ (მისი თავმჯდომარეა რექტორი, აკადემიკოსი არჩილ ფრანგიშვილი) ერთხმად დაუჭირა მხარი ხაშურში ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალის გახსნას და დაამტკიცა ამ ფილიალის დებულება, რომელიც წარადგინა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, თსუ პროფესორმა ვაჟა შუბითიძემ. ფაქტურად შერჩეულია საუნივერსიტეტო შენობაც, რომელიც ფილიალს უანგაროდ დაუთმო სურამი-ხაშურის ეპარქიის მმართველმა, მეუფე სვიმეონმა. თუ შენობის რეაბილიტაცია დროულად მოხდება, მაშინ 2016 წლის სექტემბრიდან აქ უკვე პირველკურსელები შეუდგებიან სწავლას.

დაწვრილებით ყველაფერს გაიგებთ უახლოეს მომავალში ვაჟა შუბითიძის ინტერვიუდან, რომელიც მალე გამოქვეყნდება.

სტიქიით დაზარალებულებს ხაშურიც ეხმარება



ხაშურის მუნიციპალიტეტიდან თბილისში 13 ივნისს სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის საქველმოქმედო ტვირთი გაიგზავნა.

შემოწრულობის შეგროვებას ორგანიზება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გაუკეთა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა დაწესებულებების თანამშრომლებმა სტიქიის შედეგად დაზარალებულ თბილისელთა დასახმარებლად გახსნილ სპეციალურ ფონდში საკუთარი ხელფასებიდან თანხებიც გადარიცხეს.

გარდა ადგილობრივი ხელისუფლებისა, თანადგომა და ერთსულოვნება გამოიჩინა მთლიანად ხაშურის მოსახლეობამ. ამ პროცესში ჩაერთვნენ და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს სკოლის მოსწავლეებმაც.

ფოტო, რომელიც შემთხვევით გადავიღეთ ქუჩაში, დასტურია იმისა, თუ როგორ შეგვიძლია გავერთიანდეთ საერთო ტკივილის, საერთო მწუხარების დროს, ასაკის მიუხედავად.

არაფერი არ იკარგება ქვეყნად ზვალ შეიძლება ჩვენც ერთერთი იმათგანი ვიყოთ, ვის დასახმარებლადაც ქართული საზოგადოება კვლავ გაერთიანდება



რკინიგზელებს საკუთარი მფარველი ხატი ჰყავთ

ხაშურში რკინიგზელთა ხატის ჩამობრძანების შესახებ რკინიგზის ენერგომომარაგების სამმართველოს უფროსმა გონა ადუაშვილმა გვაცნობა. აქამდე უპრეცედენტო საქართველოს რკინიგზის, რკინიგზელთა და მათი ოჯახების მფარველი ხატი კათოლიკოს პატრიარქის ღოცვა კურთხევით, 2015 წლის 5 ოქტომბერს, სამების ტაძარში რკინიგზელთა დღეს იკურთხა. ჭედური ხატი რკინიგზელთა შემოწრულობით ხატმწერმა დავით ხიდაშელმა დაწერა, მასზე სამი წმინდანია გამოსახული: ყოვლაწმინდა ღვთისმშობელი, წმინდა ნიკოლოზი და წმინდა გიორგი. იდეა კი საქართველოს რკინიგზის პროფესიული კავშირის თავმჯდომარეს ზურაბ ნასარიას ეკუთვნის.

ყოვლად წმიდაო დედაო ღვთისაო,
წმიდაო ნიკოლოზ, წმიდაო გიორგი,
მრავალმოწყალებისა და მადლისა კალთა გადმოაფარეთ
სრულიად საქართველოს, მოჰმადლეთ მშვიდობა და
გზასა წეშმარტებისასა ზედა დაადგინე ყოველნი
სასოებით მვედრებულნი წინაშე თქვენდა
და მეოხ ყვევნიო ყოველთა კმთილად
შემომწირველთა რკინიგზელთა და ოჯახთა მათთა.
უკუნიო უკუნისამდე, ამინ!




ამ დღეებში საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ინიციატივით რკინიგზელთა მფარველი ხატი ჩამობრძანებული იქნა ხაშურში. სურამისა და ხაშურის ეპარქიის მმართველის მეუფე სვიმეონის კურთხევით ხატი დაბრძანდა ხაშურის საკათედრო ტაძარში, სადაც პარაკლისი გადაიხადა მამა ნიკოლოზმა. დალოცა ხა-

შურში დასაქმებული რკინიგზელები და მათი ოჯახები. რკინიგზელთა მფარველი ხატი მოილოცება უღელტეხილის კვანძზე არსებული რკინიგზის ყველა დაწესებულება. შეგვიერთ ყველა რკინიგზელს და ხაშურის მაცხოვრებლებს რკინიგზელთა მფარველი ხატის მადლი.

ი. გოგიტაური

გიორგი პაპიაშვილი: ვცდილობთ, ერთნაირი ძალისხმევით მოვეკიდოთ ქალაქისა და სოფლის პრობლემებს!

პატარა ქვეყნები, შიდა თუ გარე დაპირისპირებების, სამოქალაქო თუ საგარეო ომების შემდეგ, რთულად და გვიან იწყებენ ძალების აღდგენას, სამოქალაქო ცხოვრების დაწყებას, ეკონომიკურ განვითარებას. ეს ჩვენი ქვეყნის არსებობის მრავალსაუკუნოვანმა მაგალითთაც აჩვენა. ახლადდაბადებულ, უკვე დამოუკიდებელ, მცირეუფრთხილ საქართველოს, მრავალ პრობლემასთან ერთად, რთული ინფრასტრუქტურული მემკვიდრეობა დარჩა-თავიდან ასაშენებელი ქვეყანა. მოიშალა წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, გარე განათებები, დასასვენებელი და სარეკრეაციო სისტემები, ხიდები, გზების



საფარი, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობანი. პრობლემათა ჩამონათვალი არაა სრული და არც ლოკალური ხასიათის. ხაშურის რაიონიც ერთ-ერთ იმ მცირეუფრთხილ რაიონთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც გასაკეთებელი მართლაც ბევრია. ზრუნვას ერთნაირად საჭიროებს ქალაქიც და სოფელიც.

სწორედ ამიტომ, უკვე დასრულებულ, მიმდინარე და ახალ პროექტებზე სასაუბროდ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილ-

მოწყობის განყოფილების უფროსს, ბნ გიორგი პაპიაშვილს ვესტუმრე. კაბინეტში შესულს სამუშაო გარემო დამხვდა, მაგიდაზე გაშლილმა მიმდინარე პროექტების გეგმებმა, რომელიც ჩემი სტუმრობის მოლოდინს არ უკავშირდებოდა, უკეთესი ხაშურის პერსპექტივა გამიჩინა.

-ბ.ნ-ო გიორგი, მოდით, იმ პროექტების და ჩატარებული სამუშაოების შესახებ ვისაუბროთ, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე, ხაშურში და მის სოფლებში განხორციელდა...

-დაიწყო იქიდან, რომ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემები, ნამდვილად მასშტაბურია და ჩვენი ბიუჯეტი არ გვაძლევს ყველაფრის ერთიანად გაკეთების შესაძლებლობას. ვცდილობთ, ჩვენი სამსახურის და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ერთნაირი ძალისხმევით მოვეკიდოთ ქალაქისა და სოფლის პრობლემებს და ეტაპობრივად მოვავაროთ ისინი. რაც შეეხება ჩვენს მიერ 2013 წელს ჩატარებულ სამუშაოებს, ხაშურის 7 უბნის მოასფალტება მოხდა მთლიანად, შევაკეთეთ დაზიანებული უბნები, საკანალიზაციო სისტემები დაბა სურამში, მოხდა წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სპორტული მოედნების და გარე განათებების დამონტაჟება. 2014 წელს ხუთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან. ჩატარდა მდინარე სურამულას ნაპისამაგრი სამუშაოები, რომელიც გაზაფხულზე საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას, მოასფალტდა რამდენიმე ქუჩა ხაშურსა და დაბა სურამში. გასული წლის 13 აგვისტოს ქვიშხეთის წყალდიდობის შემდეგ, სარეაბილიტაციო და აღდგენითი სამუშაოების და მოსახლეობის ზარალის კომპენსაციისთვის, გამოყოფილი იყო 1082 000 ლარი, დაკმაყოფილდა 121 ოჯახი, მოხდა სანიაღვრე არხების, გზების რეაბილიტაცია, ნაპისამაგრი სამუშაოების ჩატარება. ეს მინიმალური ჩამონათვალია იმ ღონისძიებებისა, რასაც ჩვენი სამსახური ყოველდღიურად ახორციელებს.

- 2015 წელი რითი დაამახსოვრებს თავს მოსახლეობას, რა ტიპის სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად?

-2015 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მხრიდან, მასშტაბური პროექტები დაიგეგმა, მათ შორის აღსანიშნავია საბავშვო ბაღების მშენებლობა, №3, №4, №5, №8 საბავშვო ბაღებს რეაბილიტაცია უტარდებათ, მინისტრის დასახელებაში არსებული დაზიანებული საბავშვო ბაღის ეზოში კი, ახალი შენობის მშენებლობა განხორციელდება. გარდა ამისა, ვაჟა-ფშაველას მთლიანი ქუჩის

მოასფალტება დაიწყება, გვერდს ტენდერში გამარჯვებული შ.პ.ს, რომელიც შეასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოებს. ამჟამად, დაბა სურამში, პუშკინის, რუსიას ქუჩების გასწვრივ და ხაშურში ნაპისამაგრი სამუშაოებზე გამოცხადდა ტენდერი, გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ დაიწყება სამუშაოები. იმედი გვაქვს, წრომსა და ხცისში დაწყებული პროექტი, მიმდინარე წლისათვის დასრულდება. ბევრი პრობლემაა, რომლის



ეტაპობრივად მოგვარება ხდება.

გარდა ამისა, დაიწყება ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გავაკეთეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გეოლოგიური კვლევა, სინჯები გადაგზავნილია საკვლევადაც, რის შედეგადაც დაიწყება შენობის გამაგრების საპროექტო ღონისძიებების შედგენა და მისი რეაბილიტაცია. ასევე, ხაშურსა და დაბა სურამში მიმდინარეობს საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, სამუსიკო სკოლის გარე ფასადის მოწესრიგება, სკამების დამონტაჟება. მოხდა გაგარინის, ფარნავაზის, ცხვირაშვილის ქუჩებზე მინი სტადიონების რეაბილიტაცია, მიმდინარე ეტაპზე, დაწყებული გვაქვს ფანჯრების შეცვლა ხაშურის კულტურის სახლში, მოხდება კარების გამოცვლა, გაკეთდება სკვერიც. გამოცხადდა საპროექტო სამუშაოები, გამოვლინდა გამარჯვებული №7 საბავშვო ბაღის, სურამის ადმინისტრაციული შენობის, პოლიკლინიკის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული საპროექტო ტენდერი, გაკეთდება ესკიზებითანხები ასახულია ბიუჯეტში.

-როგორ ხდება პროექტების განხილვა და დამტკიცება? თუ არსებობს მონიტორინგი შესრულებულ სამუშაოებზე?

-ხდება მოსახლეობასთან შეხვედრა, პრიორიტეტების განსაზღვრა, ამავდროულად, ხდება მონიტორინგი გამგეობაში შემოსული კორესპონდენციების და აღნიშნული განცხადებებიდან ხორციელდება კვლევა პირველი რიგის საჭირო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე. არჩევანის გაკეთების შემდეგ, აღნიშნული წინადადებები დასამტკიცებლად შედის საკრებულოს სხდომაზე, დამტკიცების შემდეგ, იგზავნება რეგიონალური განვითარების სამინისტროში და შემდეგ იწყება სამუშაოები. ყოველი დამთავრებული სამუშაოს შემდეგ ხდება მისი მონიტორინგი.

-რაც შეეხება სოფლის პროექტებს, რომელიც რამდენიმე წელია მიმდინარეობს, რა სიახლეებია სოფლის მოსახლეობისათვის? და ზოგადად, სოფლებში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ვისაუბროთ, რომ სოფლის მოსახლეობას ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, არ ჰქონდეს უყუდადობის განცდა.

-ხაშურის რაიონის შემადგენლობაში 79 სოფელია, რომლებიც ისევე პრიორიტეტულია ჩვენთვის, როგორც ქალაქი. რამდენიმე წელია სახელმწიფო ახორციელებს სოფლების პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებს. სოფლებზე გამოყოფილია თანხა, მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით და მათი სურვილით ხდება მათთვის პრიორიტეტული ობიექტის შენობა, ან რესტავრაცია. წელს პროექტის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. -მიმდინარე წელს, ბიუჯეტიდან შესასრულებელ სამუშაოებზე გამოყოფილია 855 226 ლარი. 14 ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია კერძო მეწარმეებთან, რომლებიც დაგეგმილ სამუშაოების შესრულებაზე არიან ანგარიშვალდებული. მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნა და სურვილი, სოფლების გაზიფიცირებაა, რაც ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხის, სკვერების, ატრაქციონების, გარე განათებების, სპორტულ დარბაზების, სპორტული მოედნების, სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, ამულატორიის, საბავშვო ბაღის აშენების ძირითადი მოთხოვნები იყო მოსახლეობის მხრიდან, რომლის განხორციელებაც წელს სოფლის პროგრამის ფარგლებში მოხდება.

P.S. იმედი მაქვს, მაგიდაზე გაშლილი პროექტები საქმედ იქცევა და მომავალ წელს მათი რიცხვი, პრობლემების რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვნად შემცირდება.

თ.ჯავახიშვილი



ენით გამოუთქმელი სანთელი

ყველაზე ძნელი სათქმელი და დასაწერი იმის შესახებაა, რაც ყველაზე ახლოა შენთან, მაგრამ იდუმალი და ზებუნებრივი კავშირის გამო, სიტყვით ვერ გამოხატავ მასთან დამოკიდებულებას.

ასეთი აზრები მომეძალება ხოლმე, როცა დედაზე საუბარი. განა დედაზე ვინმემ შეიძლება ისეთი რამე თქვას ან დაწეროს, რომ მასში სიახლეს მიაგნო?

როგორ შეიძლება შეაფასო დედისაგან ახალშობილზე პირველი კოცნა, რასაც ბავშვი ვერ გრძნობს და არც ამასხოვრდება, ანდა შეიძლება მიერ დედის ცხედარზე უკანასკნელი კოცნა, რასაც უკვე დედა ვეღარ გრძნობს? როგორ უნდა აღწერო პირველად წარმოთქმული და უკანასკნელად აღმოჩნდარი სიტყვა „დედა“? ამ ორჯერ ნათქვამი სიტყვას შორის გაჭიმულია მრავალწლიანი სიცოცხლის მოულოდნელობებით აღსავსე გზა და ხიდი, რომელზე სიარულის დროს მუდმივად თან გდევს დედის აჩრდილი, გეკარნახობს და გვიკავებს გზას კეთილშობილებისაკენ, გინერგავს სიკეთისა და ღმერთის სიყვარულს, გაძლევს ძალას, რომ დაამარცხო ბოროტი, მუდმივად გლოცავს, რომ ღირსეულად და შეურცხვენლად გაიარო ცხოვრების რთული გზა.

დედის პატივისცემას და უკვდავყოფას მხოლოდ შენი საკუთარი ცხოვრების წესითა და მოქმედებით მიაღწევ. უპირველესად, შენს თავს უნდა



სცე პატივი, რათა გარემოცვაში შენი გაზრდისთვის დედაშენი ცუდად არავინ მოიხსენიოს. როგორც საკუთარ თავზე ზრუნავ, ისე იზრუნე დედაზე და ეცადე ყოველდღე სიამოვნება მიანიჭო მას, თორემ განშორებისას საფლავთან დედის შუბლზე ბოლო კოცნა ძალიან მტკივნეულად დაგრჩება გულში, თანაც ისე, რომ დედის წინაშე

შენს მიერ დაშვებულ შეცდომებს ვერარასოდეს გამოასწორებ.

შენი ღირსეულად ცხოვრებით უკვდავების ყვავილს დაურგავ და ძეგლს დაუდგამ პირველ და უკანასკნელ კოცნასაც, პირველ და უკანასკნელ სიტყვასაც, დედის დაწვზე ჩამოგორებულ სიხარულს და მწუხარების წმინდა და შეუბღალავ ცრემლსაც, რომელიც უხვად დაუღვრია შენი სიცოცხლის შესანარჩუნებლად გათეულ უძილო ღამეებში.

ნუ დაელოდები სახელმწიფოს თუ როდის დაგიღვენს დღეს, რომ დედასთან განსაკუთრებულად გაატარო იგი. დედაშვილობა ღმერთის მიერაა წარმოქმნილი, თორემ სახელმწიფოს ურწმუნო ხელმძღვანელები „შლოპანცებს“-ა და ველოსიპედებს უღამენ ძეგლს, თითქოს საქართველოში გამოიგონეს ისინი და ამით მსოფლიო იხსნეს კატასტროფისგან. კარგმა შვილმა დედის გვერდით უნდა გაატაროს ყოველი თავისუფალი დღე და წუთი, თორემ წელიწადში ერთჯერ დაშაქრება მელაკულობას დაემსგავსება და სიმხნევის მინიჭების ნაცვლად შეიძლება გული ატკინოს მას. ვითომ რატომღა შეუძლებელი დედის მიმართ გულთბილობისა და ყურადღებინების ყოველდღიურად გამოხატვა?

თითქმის 60 წლისა ვიყავი 87 წლის დედა რომ გარდაემეცვალა. თითქოს კანონზომიერია, რომ ამ ხნის ადამიანს დედა აღარ ჰყავდეს, მაგრამ ახლა, მერვე ათწლეულში ფეხგადადგმული კაცი, ბავშვივით განვიცდი უღედობას. დრო არ ყოფილა ყველაფრის მკურნალი.

რაც მეტი დრო გადის, მით უფრო მტკივნეულია საყვარელ ადამიანთან განშორება.

დედის სიცოცხლეში მეგონა, რომ კარგი შვილი ვიყავი. მისთვის ჩემს ცხოვრებაში გადადგმული არასწორი ნაბიჯებით გული არასოდეს მიტკნია, ბევრი სიხარულიც მიმინიჭებია, მაგრამ თანდათანობით ვხვდები, რომ მის წინაშე ბევრი შეცდომები მაქვს დაშვებული. დრომ ვერ მოკლა ჩემში დედის მონატრება და იმის სურვილი, რომ ერთი საათით მაინც შევხვედე მას, საბოლოოდ გადაეუხადო მადლობა ჩემდამი მზრუნველობისათვის და მოეუხადო ათასი ბოდიში იმ გამოუთქმელი გულის ტკივილისათვის, რასაც ვაყენებდი, ჩემი სამსახურეობრივი მოუცლევლობის გამო, იშვიათად მონახულებით. ცრემლს ვერ ვიკავებ, როცა ვფიქრობ, რომ დედას იქნებ რამე აკლდა ისეთი, რაც მე შემქმლო მისთვის მიმეწოდებინა, მაგრამ არ მაგრძნობინებდა და ვერც მე ვამჩნევდი.

ცხოვრებითა და დროსტარებით არასოდეს ყოფილვარ განებივრებული, მაგრამ ნეტავი არც ერთი დასვენების დღე და საათი არ გამომეყენებინა საკუთარი სიამოვნებისათვის და დედის გვერდით გამეტარებინა იგი. ვაი, რომ ვერასოდეს შევძლებ ამ იოლი სურვილის შესრულებას.

ყველა ასაკის შვილებო, დაფიქრდით რამდენი სიამოვნება შეგიძლიათ მიანიჭოთ დედას და ეცადეთ არ მოაკლოთ იგი მას, თორემ განშორების შემდეგ შენი სიცოცხლის მანძილზე ვერ მოიცილებ სინდისის ქენჯნის დამძიმებულ გრძობას, ყველაფერი დაგვიანებული და აუსრულებელი გახდება.

შვილებზე და შვილიშვილებზე ზრუნვა ალბათ მშობლების მიმართ ყურადღებას გვიღვრებს. მშობლები ხომ უბერებელი, ძლიერნი და უკვდავნი გვეგონია. ვერ ვამჩნევთ როგორ სუსტდებიან და დროთა განმავლობაში ხელზე გვადნებიან ისინი, ხოლო შვილები და შვილიშვილები ძლიერდებიან. ჩვენ ალბათ ვეღარ ვახერხებთ ორივეს მიმართ საჭირო გულისხმიერებით დამოკიდებულებას. ღმერთი და დედა მარტო გაჭირვების დროს არ უნდა გავიხსენოთ.

—შვილებო, არასოდეს აწყენინოთ დედას, მოთმინებით, აიტანეთ მისგან თქვენთვის მიუღებელი გამონათქვამებიც კი, რადგანაც დედაზე ერთგული არავინ გყავთ, მის გულში წყენა იგრძნობა, თორემ შენდამი მტრობა და ზიზღი არასოდეს გაიფლავებს. ეცადე, ყოველი თავისუფალი დღე და წუთი მასთან ახლოს გაატარო, ნუ მოგერიდებთ მოფერების და თბილი სიტყვების თქმის, თორემ განშორების შემდეგ ძალიან მოგენატრებათ. ღმერთს ყოველდღე იმის თხოვნით მიმართეთ, რომ დედა სიზმარში მაინც გამოგაცხადოს.

დედებო, თქვენ ისეთი სანთლები ხართ, რომ მუდმივად იწვით და არ ქრებით, დაე, თქვენგან გამოსხივებული უქრობი შუქი უნათებდეს გზას თქვენს შთამომავლობას კეთილდღეობისათვის შრომასა და ბრძოლაში. თქვენ არასოდეს ჩაქრებით, რადგანაც თქვენი სული და სხეული სიყვარულისა და კეთილშობილების გამოძერწილი ისეთი ნაზავია, რომელიც ცვეთას არ ექვემდებარება.

ღმერთმა თქვენი ღოცვა აუხდინოს შვილებს, მისცეს უნარი მათ რომ პირნათელნი იყვნენ ღმერთისა და დედის წინაშე ორივე ქვეყანასა შინა.

ალალი იყოს ურთიერთ მიმართ გაწეული ამაგი და დაღვრილი ცრემლი. **რევაზ გრიგალაშვილი**

დიმიტრი ყიფიანის ფიქრი და წუხილი მიწის საკანონმდებლო საკითხების მოუწესრიგებლობის გამო და შიში სამშობლოს თვითმყოფადობის გაქრობაზე აკაკი წერეთლის მოგონებებში

აკაკი წერეთელი წერდა: ბატონყმობა ახალი გადავარდნილი იყო, რუსეთისკენ მიმავალმა, შეგუხვიე დიმიტრი ყიფიანთან. მოხუცი მოწყვნილი იყო და ფიქრებში გართული დამხვდა. შევეკითხე მიზეზი და მითხრა: ცუდი დრო გვიდგება, ვაი თუ ქართველობა დაიღუპოსო?! მიპასუხა დაღონებით.

—მიზეზი.
—ის, რომ თავადაზნაურობას გლეხები გამოეცალა ხელიდან.

—ბატონო დიმიტრი! ხუმრობ? რა მესმის ეს თქვენგან.
—ნუ ცხარობ მეგობარო! ბატონყმობამ მოჭამა თავის პური

და უნდა გადავარდნილიყო, მაგრამ უმსხვერპლოდ, და მე-კი იმასა ვფიქრობ, არ შეიძლება რომ როგორმე უმსხვერპლოდ გადავრჩეთ? ჩვენი მდგომარეობა როგორც დამონებულების, სულ სხვაა, ვიდრე სხვების, რაც იმათ არგებს, ჩვენთვის გამოსადეგი ბევრი რამ არის.

—ვერა გამიგია-რა!..
—გაბწყვი და გაიგებ. ის დრო, როცა მტრები ბუხებივით გვეხვეოდნენ და ჩვენც შეუპოვრად ვიგერიებდით, გათავდა... წავიდა. დღეს სულ სხვა დრო დადგა, ცხადი მტერი აღარსად ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ უჩინარი მტერი კი, საუკუღმართოდ ჩვენზე მომავალი, ბევრი გვყავს და იმათ უნდა ვებრძოლოთ თვალგამოხელით და

წინდახედულად, რომ ჩვენი ქვეყნის წარსული შევისწავლოთ, აწმყო ავზომ-ავწონოთ და მომავალი გავითვალისწინოთ. ეს არის, რომ მწარედ მაფიქრებს. გათავდა თუ არა ომიანობა, ცხოვრებაში სხვა გვარწყობილება შემოვიდა, ფულმა დაიჭირა ხმლის ალაგი, რისთვისაც ქართველობა სრულიად არ იყო მომზადებული, არც მეურნეობის და არც სხვა რამ საზოგადო მოღვაწეობის, სადაც კი ფული ეჭირვება, არა ეგება რა. დღევანდელი დღის შესაფერ მუშაობის უმეცარნი, რიყეზე დავრჩით თევზივით, რომ ცოტახანს კიდევ იფართხალოს და მერე სული დალიოს! ისტორიის კანონს ვერავინ მოშლის. ისინი უნდა წავიდნენ, მაგრამ მათ

ნაცვლად სხვები, დროს შესაფერი მეთაურები უნდა გამოვიდნენ. წერეთელის მაგიერ გოშაძე, აბაშიძის მაგიერ-გორძელი შვილი და ამგვარად. ამით ხალხი არას დაჰკარავას; ორივე შემთხვევაში მაინც ისევ ქართველი იქნება, თუკი ხელშეუშლელად წავა საქმე, მაგრამ უჩინარი მტერი ძლიერი! ვაი თუ დააწვეს თავზე იმ ახალ ნერგსაც და თავადაზნაურობას თან გლეხობაც გააყოლოს, სამაგიეროს მიუცემლად და მაშინ კი მშვიდობით ქართველობა! ეს ყოლიფერი გათვალისწინებული ჰქონდა მთავრობას და, ვითომ ხელი მიაწვდინა დასაღუპავად განწირულ თავადაზნაურობას. პირადი დამოკიდებულება

(გაგრძელება IV გვერდზე)

დიმიტრი ყიფიანის ფიქრი და წუხილი მიწის საკანონმდებლო საკითხების მოწვესრიგებლობის გამო და შიში სამშობლოს თვითყოფადობის გაქრობაზე აკაკი წერეთლის მოგონებებში

(დასასრული)

ჩამოართვა ბატონებს, მაგრამ ქონებრივად კი უფრო დაუმონავა. საკუთრება არ მისცა გლეხობას, მე მინდა „წესდებაში“ ერთი მუხლი შევიტანო, რომ თუ თავადაზნაურმა ვეღარ გამოიხსნას დაგირავებული და დროზე სარგებლის შეტანა ვერ მოახერხოს ბანკში, მაშინ უპირატესობა გლეხებს მიეცეს. იმათ გადაეცეთ იმ პირობით, რა

პირობითაც თავდაპირველად დაგირავებულა!.. გლეხები, როგორც მუშები, სარგებელს ყოველთვის დროზე შეიტანენ და ერთ დროს მესაკუთრეები გახდებიან. ასე, რომ უცხო ტომის ვეღარავინ შემოგვეჩხირება. მიწა-წყალი ისევ ქართველობას დარჩება ხელში! თავის დღეში იმას მიწა-წყლისთვის უბრძობა... მტერი უგერიებია და ვერც დღეს ჩაუყრის ხელში უცხოს. კარგად ესმის, რომ ის ერი, რომელსაც მიწა-წყალი აღარა აქვს, აღარც ერად ჩაითვლება!..

მართალია, ძველი თავადაზნაურობა აღარ იქნება, მაგრამ ქართველები მაინც არ მოისპობა...

მოსუცის საუბარი დამიჯდა ჭკუაში და მეც გულდამშვიდებით გამოვეთხოვე დიდებულ ქართველს და გავედექი ჩემს გზას.

რუსეთიდან რომ დაგბრუნდი, კიდევ ვნახე დიმიტრი და ჩვეულებრივ მოკითხვის შემდეგ მომისამძიმრა: ჩემი წესდება არ მიიღესო.

–ღიახ, დამიწუნეს და წესდებაც სულ სხვაგვარი დაამტკიცა მთავრობამ!.. მისთანა, რომელიც ჩვენ გვაშინებდა და ვაი, თუ ამგვარმა ბანკმა ვნება მეტი მოგვეცეს შევბახე!..

–საშველი აღარ არის რა? ეგებ ტყუილი შიშია ეგ ყოლიფერი?–დმერთმა ქნას,

მაგრამ „სიფრთხილეს თავი არ სტკივალ“, ნათქვამია.–მე ჯერ კიდევ იმერეთის იმედი მაქვს. იქ ქართველობა ერთი-ორად მეტია და შემოწირულობაც მეტი უნდა იქნეს და ვეცადოთ, რომ ჩვენი წესდება იქ მაინც შევიტანოთ, თორემ თუ იქაც თბილისისთანა ბანკი დაარსდა, დიდი სიფრთხილე გემართებს, რომ არ დავიღუპოთ.

დამეთანხმება მკითხველი, თუ რამდენად აქტუალურია დიმიტრი ყიფიანის ეს მოსაზრება დღევანდელ საქართველოში და რამდენი საფრთხეები არსებობს ისევ, რომ მიწის გაფრთხილება დღესაც საჭიროა და სხვის ხელში ჩავარდნა ეროვნულ განადგურებას მოგვიტანს. გივი გელაშვილი

ამერიკაში - კოოპერატიული გამოცდილების მიზნით

ჩინელების წყველა “რეფორმების პერიოდში გეცხოვროს”, იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ რთულია მოსახლეობისთვის, სულ ცვლილებების, სულ ძიებების პერიოდში ცხოვრება. თუმცა, განვითარებადი ქვეყნებისთვის ეს პროცესი ნორმალურია, ითვალისწინებენ სხვა ქვეყანაში გამოცდილ, აპრობირებულ მეთოდებს, მოდელებს და რომლებმაც უკვე კარგად იმუშავეს, მას სხვადასხვა ეროვნული ფაქტორების გათვალისწინებით ნერგავენ. ეს ეხება სოფლის მეურნეობასაც, სადაც უკვე რამდენიმე წელია დაგეგმილია კოოპერატიული მოდელი, რომელიც დახვეწის და განვითარების სტადიაშია. ხდება მოსახლეობის ინფორმირებულობა, ჩართულობა და ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. თუმცა, ყოველთვის არსებობს ალტერნატივა-სხვა უფრო განვითარებული ქვეყნის მაგალითზე. ჩვენი ქვეყნის აგრარულ დანიშნულებაზე და შესაძლებლობაზე აღარავინ დაობს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რა კულტურების გავრცელების ხელშეწყობა უნდა იყოს პრიორიტეტული, რომ ქვეყანამ მასზე აიღოს ორიენტირი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 2 კვირიანი ვაცნობითი ხასიათის ტრენინგი გაიმართა თანამედროვე და ახალი თაობის კოოპერატივების შესახებ, რომელზეც სოფლის მეურნეობის ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი როინ კურტანიძე იმყოფებოდა. ეს პროგრამა განხორციელდა ამერიკის საელჩოს ინიცირებით, რომელსაც საქართველოდან სამი სხვადასხვა რაიონის წარმომადგენელი ესწრებოდა, კონკურსში მონაწილეობის საფუძველზე. პროგრამა ვაცნობითი ხასიათის იყო, სადაც თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების უპირატესობებზე ისაუბრეს.

–ამერიკის უმსხვილესი სამომხმარებლო და სერთიფიცირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ამერიკის ეკონომიკის ხერხემალია.

იქმნება ახალი თაობის კოოპერატივები, რომელთა წლიური ბრუნვა მილიარდებს აღწევს, ძირითადად იმ კულტურებზე, რომლებიც საქართველოშიცაა გავრცელებული (სიმინდი, ხორბალი, შაქრის ჭარხალი). ამ ტიპის კოოპერატივებში გაწვევრიანებულია 1200 ფერმერთა გაერთიანებული კოოპერატივები. ყოველწლიური ბრუნვა კი 43 000 000 000 შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა ვაცნობითი ხასიათის იყო, დიდი



სურვილი გვაქვს მსგავსი კოოპერატიული სისტემის მოდელის საქართველოში დანერგვის, რაც სასიკეთოდ იმოქმედებს სოფლის მეურნეობის განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე - აღნიშნა ბატონმა როინ კურტანიძემ ჩვენთან საუბარში.

პროგრამა „მომავლის თაობა“ გომის საჯარო სკოლაში

ამერიკული ორგანიზაცია PH international ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს (USAD) დაფინანსებით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მხარდაჭერით, 480 სკოლაში ახორციელებს სამოქალაქო განათლების პროგრამას „მომავლის თაობა“.

მიმდინარე სასწავლო წლიდან აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია გომის საჯარო სკოლაც. პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული პროექტების კონკურსში, გომის საჯარო სკოლის პროექტმა “მედიაკლუბი”, მოიპოვა გრანტი, რის შედეგადაც შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვა სკოლის მედიაკლუბი. პროექტის ხანგრძლივობა წარმოადგენს ორ თვეს. აღსანიშნავია, რომ პროექტით გათვალისწინებული აქტივობები უკვე განხორციელდა, მაგ: სკოლის ეზოში, კლუბის წარმომადგენლებმა, დარგეს

ტირიფის ნერგები. მედიაკლუბის წევრების მიერ ჩატარდა კვლევა, ეკოლოგიურ და უსაფრთხო საკითხებზე, გომის სპორტის ქარხნის ტერიტორიაზე არსებული აუზების შესახებ. მოსწავლეებმა შეისწავლეს არსებული ტერიტორია, აიღეს ინტერვიუ ქარხნის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ბესო ნოზაძესთან.

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოაწვეეს აქცია - გაიწმინდა სოფლის ტერიტორია პოლიეთილენისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთებისაგან. პურნალისტმა მარიტა თევზაძემ, ჩაატარა მასტერ-კლასი, როგორ მოვიპოვოთ, დავამუშაოთ და გავავრცელოთ ინფორმაცია? ინფორმაციის ვიზუალიზაციისა და გავრცელების რა საშუალებები არსებობს? - ამ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ინფორმაცია. ტრენინგი ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა, მისი დასრულების შემდეგ კი მონაწილეებმა მიიღეს პრაქტიკული დავალებები, რომელთაც ისინი მომავალ კვირას წარადგენენ განსახილველად.



საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უახლოეს მომავალში სკოლის მედიაკლუბში მოეწყობა რადიოკვანძი, რომელიც განახორციელებს, როგორც შემეცნებით, ასევე გასართობ ვადაცემებს.

P.S. მედიაკლუბის წევრებს და არამარტო მათ, წინ საინტერესო ზაფხული ელით...

ელენე შუბითიძე,

გომის საჯარო სკოლის, მედიაკლუბის წევრი



ინერგება ელექტრონული საქმისწარმოების სისტემები

ხაშურის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს თანამშრომელთა გადამზადება საქართველოს საჯარო რეესტრის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში. ტრენინგები ტარდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ფარგლებში. პროექტის მიზანია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემების დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში. ტრენინგებს ატარებს სამინისტროს სასწავლო ცენტრის ტრენერი თამარ შაშიაშვილი. ერთი კვირის განმავლობაში გადამზადდება მუნიციპალიტეტის 20 თანამშრომელმა გაიარა.



საჭიროა მოქალაქეობრივი პოზიციის ამაღლება

შენი სახლი, ეზოს წინ გამავალი ქუჩა, საერთო კია, მაგრამ, უპირველესად, შენია(ეს კარგად უნდა გაისივრებინოს ყველა ხაშურელმა, ოჯახმა), ამიტომ მასზე ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც დობის შიგნით ვუვლით და ვზრუნავთ ყველაფერზე, რაც საკუთარია. აქსიომაა, ის, რაც საერთოა, შენიც არის და ჩემიც, მითუმეტეს, თუ იგი ხელისუფლების მიერ არაა გაკეთებული. ბოლო წლებში ქალაქის

გამოთქმა-“ჩემი ტალახიანი ხაშური”. საბედნიეროდ, საქმეც აქეთ მიდის. ძირითადი ქუჩები მოასფალტებულია, ხოლო დანარჩენი ქუჩები მოსასწორებელი, სუფთავდება ქუჩების 80%. ეს კარგია, მაგრამ საოჯახო ნაგავით არ უნდა დავაბინძუროთ ქალაქი. ნაგავი არ უნდა დაფაროთ იქ, სადაც არ შეიძლება. (ქუჩაში არაერთი ურნაა დადგმული). მითუმეტეს მდინარე სურამულაში. ეს საცოდავი, მცირეწყლიანი მდინარე, ხშირად ნაგავში იხრჩობა. კარგია „ხაშურსერვისი“ და სკოლების ინიციატივა, როცა პერიოდულად შედიან მდინარის კალაპოტში და ასუფთავებენ მას პლასტმასის ბოთლებისაგან და პოლიეთილენის გამოყენებული ნივთებისაგან. კარგი იქნება, თუ ეს ტრადიციაში გადაიზრდება და გადაიქცევა მდინარე სურამულა სუფთა, სიცოცხლისათვის ხელსაყრელ მდინარედ. (ერთ დროს ისეთი სუფთა იყო, ხალხი ჭურჭლის სარეცხად იყენებდა და ხორბალსაც რეცხავდა). მივხვდეთ



ინფრასტრუქტურა საგრძნობლად განვითარდა, ეს სასიხარულო და მოსაწონია, მაგრამ ყველაფერს მოვლა-პატრონობა სჭირდება, თუ არადა, ამ მიმართულებით გახარჯული ყოველი თეთრი, წყალში გადაყრილი იქნება. ეს რომ კარგად მკონდეს გაანალიზებული ჩვენს მოსახლეობას, ახლა ყველა ქუჩა, გამწვანებული კი არა, გადამწვანებული უნდა იყოს. იმდენი ხის ნერგი ირგვება ყოველწლიურად ხაშურის ქუჩებში, ხეხუჩქები და ყვავილები კი სკვერებში, მაგრამ რა გამოდის?- ხელისუფლება რგავს, მოსახლეობა კი (მის რაღაც ნაწილი) ანადგურებს. ამიტომ შემოგვრჩა აქამდე ნახევრად გამწვანებული ქუჩები, ცარიელი ბორდიურები. ჰოდა, დროა, ეს ძველი ჩვევა დავივიწყოთ, ხაშური უნდა გადავაქციოთ სანიმუშო წესრიგის ქალაქად. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ

და გავუფრთხილდეთ სურამულას, რომ იგი არ გადაიქცეს მკვდარ მდინარედ. ეს თითოეული ხაშურელის, სურამელის უპირველესი მოვალეობაა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, აღსდგეს ძველი, კარგი ტრადიცია, იმის თაობაზე, რომ რაიონის შესაბამისი სამსახურები და გაზეთი რომ აცხადებდნენ კონკურსს, საუკეთესო ეზოების, ქუჩების, სკოლების გამოსაველენად. ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს მოქალაქეობრივ აქტიურობაზე, პოზიციაზე, მონდომებაზე, და პასუხისმგებლობაზე. ამისთვის საჭირო არ არის დიდი ფინანსური სახსრები, გარდა იმისა, თუ გამარჯვებულებს დავასაჩუქრებთ და წავახალისებთ მატერიალურად და მორალურად (სიგელები, პრიზები, გაზეთის სტატია მიეძღვნება და ასე შემდეგ). **რ. საგანელი**

ქალაქის სავიზიტო ბარათი

ქალაქის მთავარი ქუჩა საკმაოდ გადატვირთულია. უჭირს ავტოტრანსპორტსაც და ქვეითად მოსიარულეებსაც. ხალხში აქტიურად ლაპარაკობენ მისი მოწესრიგების აუცილებლობაზე. ჩვენი ინფორმაციით რაიონის მესვეურებს ამ მიმართებით უკვე მოფიქრებული აქვთ სათანადო ღონისძიებები. მათ შესახებ ინფორმაციის დახუსტებას შემდეგ გაზეთის მომდევნო ნომრებში მოგაწვდით. რუსთაველის ქუჩას სხვა (თუმც არც ისე



მნიშვნელოვანი გასაჭირიც აქვს) მას ბოლოში, დაახლოებით 30-40 მეტრ მანძილზე წყალსაწრეტი არხები ამოვსებულია ინერტული მასალით, რის გამოც, ყოველი წვიმის შემდეგ ეს ადგილი იტბორება, ტრანსპორტსა და ფეხით მოსიარულეებს გარკვეულ უხერხულობას უქმნის. ისიც უნდა ითქვას, რომ ქუჩის ორივე მხარეს ტროტუარებზე დაგებული ფიგურული ფილების ნაწილი ამორტიზებულია, მწყობრიდან არის გამოსული, თუმცა იგი შარშან თუ შარშანწინ დააგეს. დააგეს და წავიდნენ მშენებლები. ჩვენ კი უხარისხო მასალით დაგებული ტროტუარები დაგვიტოვეს. მსგავსი აღარ უნდა განმეორდეს. ვინც სამუშაო შესრულა და მიიღო, გარკვეული პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. ამასთან, რუსთაველის ქუჩა ზოგიერთი კერძო მაღაზიის მეპატრონის და მოსახლეობის მიერ გამოყენებულია დამხმარე სათავსოდ, ათასი ხარახურის საწყობად. ეს უნდა აღმოიფხვრას. რუსთაველის ქუჩა ჩვენი ქალაქის სავიზიტო ბარათია და მას მეტი პატივი უნდა ვცეთ, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ, მოვუაროთ, დავიცვათ, გავალამაზოთ. ეს ჩვენი პატივისა და ღირსების საქმეა. **რ. საგანელი**

არჩილ მამულაშვილის სახელობის ტურნირი ვაყაში

ხაშურის გამგეობის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის და სასპორტო სკოლის ორგანიზებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფ. ვაყაში, გაიმართა არჩილ მამულაშვილის სახელობის ღია ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან ჩამოსულმა სპორტსმენებმა. ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლეებმა სხვადასხვა წონით კატეგორიებში

დაიკავეს შემდეგი საპრიზო ადგილები: მამულაშვილი ნიკა პირველი ადგილი - 73 კგ. მეტრეველი გიორგი პირველი ადგილი-66 კგ. ხაჩიძე გიორგი მეორე ადგილი - 81 კგ. ნოზაძე თამაზი მეორე ადგილი 66 კგ. გელაშვილი ვლადიმერი მეორე ადგილი - 60 კგ. ნოზაძე გიგა მესამე ადგილი -73 კგ. ნოზაძე შოთა მესამე ადგილი - 66 კგ.



ტურნირი გაიმართა საქართველოს და შიდა ქართლის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მხარდაჭერით.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ტურნირის საუკეთესო მოჭიდავე, გიორგი მეტრეველი, არჩილ მამულაშვილმა დააჯილდოვა თასით.

“ვერის უბნის მელიოდები“- კვლამოქმედებისათვის



26 ივნისს, ხაშურის სამუსიკო სკოლაში, პედაგოგებმა ხათუნა დვალაძემ და ინგა ხრიკაძემ ცნობილი ქართული მიუზიკლი “ვერის უბნის მელიოდები” წარმოადგინეს.

მიუზიკლში მონაწილეობდნენ სამუსიკო სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეები.

აღნიშნული ღონისძიება, როგორც ბოლო პერიოდის ყველა კულტურული ღონისძიება, იყო საკვლამოქმედო. შემოსული თანხა გადაირიცხება თბილისის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

საანგარიშო კონცერტი სამუსიკო სკოლაში

24 ივნისს, ხაშურის სამუსიკო სკოლის მცირე საკონცერტო დარბაზში გაიმართა სკოლის საანგარიშო კონცერტი. კონცერტში მონაწილეობდნენ საფორტეპიანო და სავიოლინო კლასის საუკეთესო მოსწავლეები. აგრეთვე, გუნდი, პედაგოგ ლიანა ტატიშვილის ხელმძღვანელობით. ღონისძიებას უძღვებოდა სამუსიკო სკოლის პედაგოგი ხათუნა დვალაძე. კონცერტის დასასრულს, სამუსიკო სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ლალი რუხაძემ შეაჯამა მიმდინარე წლის მუშაობა, მოსწავლეთა მიღწევები და შემდგომი წარმატებები უსურვა აღსაზრდელებს.



უფასო სამედიცინო მომსახურება ხაშურელთათვის

4-5 ივლისს, ხაშურში, საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირებსა და რესპუბლიკურ საავადმყოფოს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მოხდება მოსახლეობის სამედიცინო კონსულტაცია და ლაბორატორიული კვლევა. რესპუბლიკის საავადმყოფოს 20 მაღალკვალიფიციური ექიმი, (კარდიოლოგი, რევმატოლოგი, გინეკოლოგი, თერაპევტი, ანგიოლოგი, ტრავმატოლოგი, ოფთალმოლოგი, ნევროპათოლოგი, ნევროლოგი, პედიატრი, ქირურგი, უროლოგი, ექოსკოპისტი, ოჯახის ექიმი) რკინიგზის მედიკუმენტში უფასო სამედიცინო კვლევას გაუწევს ხაშურის მოსახლეობას.

აქცია ტარდება რესპუბლიკური საავადმყოფოს საყოველთაო ამბულატორიული სამსახურის ეგიდით.

ამ საინიციატივო ჯგუფმა მესამე წელია საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობას გაუწია სამედიცინო დახმარება კონფლიქტის ზონების ჩათვლით.

ტარიელ ბუღაძის ხსოვნა



მონატრება სვედაა ერთგვარი, სვედა, რომელსაც ძნელია მოერიო. ჩვენც ეს სვედა გვაწევს მრუმე ნისლივით და ხშირად გვიდგას შენი გაღიმებული სახე წინ. რა წლები გამოვიარეთ ერთად, ტარიელ! ყველა გაჭირვებას გაუშვებით, ბარიერები არ გველეოდა მაგრამ ყველას ვძლევდით და გაზეთს ვაკეთებდით. სიძნელეების მიუხედავად, მაინც სიყვარულით ვისხენებთ იმ წლებს. რაც მთავარია, ერთად ვიყავით, ერთად გვიღხინდა და გვიჭირდა.

არ იფიქრო, რომ ოდნავ მაინც დაგივიწყეთ. სანამ ჩვენ ვიქნებით, გჯეროდეს, შენც ჩვენი რედაქციის წევრი ხარ, ისეთივე, როგორც ძველად, შენი სიმღერებით რომ გვაძლევინებდი სირთულეებს.

დღეს შენი დაბადების დღეა! გილოცავთ, კარგო კაცო! გვაკლიხარ, გვიყვარხარ, გვენატრები!

რედაქციელები

დასუფთავების აქცია სურამის ფიჭვნარში

29 ივნისს, განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ინიციატივით, მოეწყო დასუფთავების აქცია სურამში. კერძოდ კი, ბაიანთხევის ტყე-პარკში. აქციაში მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდული საკრებულოსა და საკვირაო სკოლის წევრები.



მუნიციპალიტეტის სახელით აქციაში მონაწილე ბავშვებს მადლობას ვუხდით გულისხმიერებისა და თანადგომისათვის

ცნობილი მსახიობი - ხაშურში

ამ დღეებში, საქალაქო კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის ლეო ანთაძის, დაბადებიდან 83 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლის იუბილე. იუბილეზე მსახიობმა წარმოადგინა მონო-სპექტაკლი „ქვიშური ესკიზები“.



ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე.
 მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
 E-mail Khashurismoambe 2015@gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.
 P-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.